ბორჯომი

6 ივლისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№28 (9290)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

დაიწყო ერთიანი ეროვნული გამოცდები

წარმატებას ვუსურვებ თითოეულ აბიტურიენტს, მათ მშობლებს, ოჯახის წევრებს, პედაგოგებსა და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ ახალგაზრდების განათლებაში.

მჯერა, თქვენ, ნიჭიერი ახალგაზრდები ცხოვრების ყველა ეტაპს, მათ შორის, ეროვნული გამოცდების პერიოდს ღირსეულად გაივლით და შეძლებთ საკუთარი თავის რეალიზებასა და დასახული მიზნების მიღწევას.

კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, სასურველი შედეგების მიღებასა და წინსვლას!

ბესიკ ამირანაშვილი,
სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

აბიტურიენტებო, მინდა წარმატება გისურვოთ თითოეულ თქვენგანს, განსაკუთრებით კი ბორჯომის მუნიციპალიტეტის აბიტურიენტებს და ოჯახის წევრებს.

ჩვენო ახალგაზრდებო, თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი და მჯერა, თქვენი პროფესიონალიზმით არაერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

პატივისცემით ოთარ არბოლიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი.

ძვირფასო აბიტურიენტებო, წინ ემოციურად დატვირთული დღეები გელოდებათ. იმედი მაქვს, რომ ყველა გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ, გახდებით სტუდენტები და განათლების მიღებას სასურველ ფაკულტეტებზე გააგრძელებთ. მერწმუნეთ, განათლება საკუთარ მომავალში ჩადებული საუკეთესო ინვესტიციაა და გისურვებთ, რომ ეს პერიოდი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.

თქვენ ხართ ჩვენი ქალაქის, ქვეყნის მომავალი თაობა. მე ღრმად მწამს, რომ თითოეული თქვენგანი შეძლებს საკუთრი თავის რეალიზაციას და დასახული მიზნების მიღწევას. მე კი გპირდებით, რომ ცოდნის მიღების გზაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტი მუდამ თქვენ გვერდით იქნება.

ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ბევრ წარმატებას გისურვებთ!

საუკეთესო სურვილებით დავით ზაალიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბაკურიანში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

დაბა ბაკურიანში, რეკრეაციულ პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში უკვე განხორციელდა სტადიონისა და სატრენაჟორო სივრცის მოწყობა, რომელიც უკვე ფუნქციონირებს და სადაც ადგილობრივები და დამსვენებლები სპორტულ აქტივობებით არიან დაკავებულები. მომავალ კვირას კი საფეხმავლო და საპიკნიკე ზონების მოწყობა დასრულდება.

პროექტის დასრულების შემდეგ დაბა ბაკურიანს სრულად კეთილმოწყობილი მრავალფუნქციური რეკრეაციული ზონა შეემატება, რომელიც სხვადასხვა ტიპის სპორტულ და რეკრეაციულ სივრცეებად დაიყოფა.

პარკის რეაბილიტაცია პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროექტის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მიმდინარეობს და მისი დასრულება ივლისის თვის ბოლოს იგეგმება.

დასრულდა კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია

ბორჯომში, კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის მიხედვით მოეწყო მიწისქვეშა სანიაღვრე ქსელი, გრანიტის ქვაფენილიანი ტროტუარები და დაიგო ორფენიანი ასფალტის საფარი.

- ბორჯომში აქტიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სოფელსა და საკურორტო დაბაში გზის რეაბილიტაცია. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია ბორჯომისთვის, ჩვენი სტუმრებისთვის და დარწმუნებული ვარ ინფრასტრუქტურის განვითარების და მშენებლობის კუთხით არაერთი პროექტის განხორციელება იქნება შესაძლებელი, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში მოსახლეობის 2024 წლის აღწერის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინიციატივით შედგა და მის მიზანს მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობებისთვის ინფორმაციის მიწოდება და სამომავლო გეგმების გაცნობა წარმოადგენდა.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი,** საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი **გოგიტა თოდრაძე,** სამსახურის ხელმძღვანელი პირები და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2023 წლის 25 ივნისიდან, მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, ახალციხე და ბორჯომი) საცხოვრისების შემოვლა და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება დაიწყო. პირველი ეტაპის სამუშაოები აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული შენობებისა და მათში ფაქტობრივად მცხოვრები შინამეურნეობების სიითი შემადგენლობის განსაზღვრას გულისხმობს.

მოსახლეობის 2024 წლის აღწერის მოსამზადებელი საველე სამუშაოები 15 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მას საქსტატის მიერ გადამზადებული პერსონალი განახორციელებს.

მონაცემთა შეგროვება თანამედროვე ტექნოლოგიებით მიმდინარეობს, რომლის დროსაც გამოიყენება პლანშეტური კომპიუტერები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საგარეო საქმეთა სამინისტროს სსპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ორგანიზებით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სამხედრო ექსპერტი **გიორგი ცხვიტავა** უძღვებოდა.

შეხვედრის მთავარი მიზანი ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდა, გაცნობიერებული მხარდაჭერის შენარჩუნება და განმტკიცებაა. ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა დასავლური ღირებულებების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის, არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ. რის შემდეგაც, შეხვედრა სიტყვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა.

შეხვედრას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბაკურიანის №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, ამხანაგობა „დიდველი რეკრეაციის“ მიერ წარმოდგენილ იქნა ბაკურიანის გენერალური გეგმით დადგენილი №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფცია. აღნიშნულის შემუშავების საჭიროება განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმებით.

დაგეგმვის მიზანია გენერალურ გეგმაში არსებული სათხილამურო ტრასის, საბაგიროს, მისასვლელი გზების და ღია სივრცეების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს მოწესრიგებული გეგმარებითი ერთეულები.

№8 საპროექტო არეალის განვითარების სამომავლო ხედვა ითვალისწინებს თავდაპირველად შეზღუდვების - სათხილამურო ტრასის, საბაგიროს გასხვისების ზონისა და მდინარის დაცვის ზოლების დადგენას, საპროექტო ტერიტორიის ორივე მხარეს. ასევე არსებული გზის (საბაგიროსკენ მიმავალი) შენარჩუნება-გაუმჯობესებას. შემდეგ ეტაპზე მოხდება დარჩენილი ტერიტორიის თავიდან დაგეგმარება, ახალი გზების დამატება და რეკრეაციული ზონების გაჩენა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, აღნიშნული პროექტი ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

№8 საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2023 წლის 31 ივლისს, 13:00 საათზე, მისამართზე - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №5.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება ბაკურიანის №8 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებული ელექტრონული დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, არაუგვიანეს 2023 წლის 21 აგვისტოსი, სსიპ - სივრცითი ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sajaro.gankhilvebi@suda.gov.ge

თემის გაგრძელება

ლექციის მოკლე თეზისები

თეიმურაზ ბუაძე

იესო ქრისტე იუდეველებს მოძღვრავს: **„და სცანათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან გან-გათავისუფლნეს თქუენ“** ასევე თომა მოციქულს ეუბნება: **„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“**. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

- თავისუფლების არსი გადმოიცემა არა ლეგალურ, იურიდიულ კატეგორიებში, არამედ სულიერში. რაც უფრო ახლოსაა ადამიანი ღმერთთან, მით უფრო კარგად ესმის თავისუფლების რაობა;

- თავისუფლება მემკვიდრეობით, თავისთავად არ მიიღება, იგი წმინდა, ღვთივსათნო ცხოვრებისეული გამოცდილებით შეიძინება;

- ჭეშმარიტი თავისუფლება პოლიტიკური და სოციალური ემანსიპაციის პროცესით კი არ მიიღწევა, არამედ უფლის მცნებებისადმი მორჩილებით.

ადამიანური გონება ადვილად ცდება თავისუფლების არსის რაციონალიზაციის, მისი რაციონალური განმარტების მცდელობისას. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- თუ მაქსიმე აღმსარებლის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ადამიანი თავისუფლების არსს მრავალრიცხოვანი **„ლოგი ფანტასტიკის“ განხორციელების შესაძლებლობაში ხედავს, მაშინ როდესაც თავისუფლება სწორედ მათზე უარის თქმაში მდგომარეობს;**

- „თავისუფლება“ ანტინომიური ცნებაა, მის რაციონალურ ანალიზს წინააღმდეგობრივ დებულებებამდე მივყავართ **(წმინდა მამების აზრით, თავისუფლება მომავალი საუკუნის საიდუმლოებაა, კანტის მიხედვით კი, ის ნოუმენალურ სამყაროს ეკუთვნის);**

თავისფლების რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული კონცეფციაა გავრცელებული. ისინი ერთმანეთისგან სულიერი გამოცდილების თვალსაზრისით განსხვავდებიან;

- ადამიანები თავისუფლებას აიგივებენ არჩევანის გაკეთების თანდაყოლილ, ბუნებრივ უნართან. ამ დროს თავისუფლება გაიგება, როგორც საკუთარი უფლებების დაცვა, არჩევანის კეთების მუდმივი აუცილებლობა და „თვითრეალიზაციის“ ლეგალური საფუძვლები;

- ზნეობრივი თავისუფლება მორალური პრინციპების აღსრულების შესაძლებლობად გაიგება და უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობის გრძნობასა და ვალდებულებებს უკავშირდება. ზნეობრივი თავისუფლება ეფუძნება ეთიკას და არა რელიგიას;

- სულიერი ანუ „შინაგან“ თავისუფლება გაიგება, როგორც „მეორე რიგის“ თავისუფლება, რომლის შედეგია ღვთის სწორი, კარიტასული სიყვარული;

ქრისტიანობა არ აკნინებს პოლიტიკურ, ნაციონალურ, ეკონომიკური და აშ. თავისფლების მნიშვნელობას, მაგრამ მათგან მკვეთრად განსხვავებულ ეწ. შინაგან ანუ სულიერ თავისუფლებას, რომლისკენ სულიერ ცხოვრებას მიყავართ და არა სოციოპოლიტიკურ რეფორმებს;

- სულიერი თავისუფლების კრიტერიუმი მოყვასის ქრისტიანული სიყვარულია;

- მოყვასის ქრისტიანული სიყვარულის კრიტერიუმი კი მტრის სიყვარულია.

ღვთისმსახურების არსი და მისი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის

გიორგი გვასალია

ღვთისმსახურება მხოლოდ რელიგიური რიტუალების ტრადიციული განმეორება არ გახლავთ. მასში დევს საიდუმლოებრივი და ამავდროულად ქმედითი ჭეშმარიტება, რომლის გააზრებაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის.

ადამიანი ბედნიერებისაკენ მოწოდებული არსებაა. მასში ჩადებულია ლტოლვა დაუსრულებელი ბედნიერებისაკენ, რასაც ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ღმერთთან ერთობა ანუ განღმრთობა ეწოდება. ერთია ის, რომ ადამიანს სურს ბედნიერება. მაგრამ მეორეა ის გზა, რითაც მან ამ მიზანს უნდა მიაღწიოს.

მარადიული ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა ბიბლიაშია გაცხადებული და ის წარმოდგენილია როგორც ადამიანის ეგოიზმზე ამაღლებულობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ სწორედ მაშინ, როდესაც ადამიანი ცხოვრებას იწყებს სხვისთვის, ის ბედნიერებისაკენ მავალ გზას ადგას.

ისმის კითხვა: ეს გზა როგორ უნდა გაიაროს ადამიანმა და ამ ფუნდამენტურ კითხვაზე ქრისტიანობა პასუხობს: მსახურებით, რომელიც იწყება ღვთისმსახურებით და აღესრულება მოყვასის მსახურებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვთისმსახურება ეს არის ის მოქმედება რომელიც ადამიანური ბედნიერების საფუძველშივე დევს.

თუკი თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მაშინ ვნახავთ რომ ჩვენი ქვეყნის შენებას წინ ყოველთვის უძღოდა საზოგადოებრივი მთლიანობა და პირქით ნგრევის წინაპირობა დანაწევრება გახლდათ. ამის მიზეზს ისტორიკოსები სხვადასხვა მოვლენაში ეძებენ თუმცა არსებითია სწორედ იმისი გააზრება რომ ერის მთლიანობას წინ უძღვის ღვთისმსახურებაში გაერთიანება და პირქთ, მის დახლეჩასა და დანაწილებას წინამორბედებს საზოგადოების ღვთისმსახურებისაგან დაცილება. ამდენად, ჭეშმარიტი ღვთისმსახურება მნიშვნელოვანია როგორც კერძო ადამიანის პიროვნების ბედნიერებისათვის, ასევე მტკიცე საზოგადოების შენებისათვის.

ადამიანი, როგორც ბედნიერებისათვის შექმნილი არსება

ადამიანი განსაკუთრებული არსებაა და ეს განსაკუთრებულობა მის ცხოვრებაში აუცილებლად ვლინდება. მრავალი რამ შეიძლება ადამიანს, როგორც სამყაროში არსებული განსაკუთრებული არსების შესახებ ითქვას, მაგრამ არსებითი მაინც ისაა, რომ ყველა ქმნილებისაგან განსხვავებით ადამიანი ბედნიერებისაკენ მავალი გახლავთ. არც ერთ ქმნილებას არ აქვს უნარი, იყოს ბედნერი. ბედნერი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს.

ადამიანი მთელი სამყაროსაგან განსხვავდება იმით რომ მას, გარდა სხეულისა (მატერიალური შემადგენელი) და სამშვინველისა (ფსიქოლოგიური შემადგენელი), გააჩნია სული. სწორედ ეს მესამე შემადგენელია, რაც ადამიანს ბედნერებას განსაზღვრავს. ადამიანური ბედნერებისათვის კი აუცილებელია სულს მივაწოდოთ ის, რაც მას ახარებს. ეს კი გახლავთ სიყვარული და თავისუფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ადამიანმა იცოდეს ის გზა, რითაც ის ბედნერებამდე მივა ანუ ბედნერებისაკენ მავალი გზა სიყვარულისა და თავისუფლების მოპოვებას უნდა გულისხმობდეს, სამწუხაროა რომ დღეს ბევრი ადამიანი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და მისი ასეთი რეალობა იზომება არა სოციალური თუ ფინანსური პარამეტრებით, არამედ ბედნერების საზომით.

დღეს მსოფლიოში ყველაზე პროგრესირებადი და, შეიძლება ითქვას, მზაკვრული დაავადებაა ფსიქიკურ სფეროში დაფიქსირებული აშლილობები. ამისი მიზეზია ადამიანის წარუმატებელი მცდელობა ბედნერების მოპოვებისა. ადამიანები ხშირად ბედნერებას ეძებენ ხორციელ ან ფსიქიკურ დონეზე და ავიწყდებათ, რომ მათ ბედნერება სხვა სივრცეში უნდა მოიპოვონ და ეს ადამიანის სულიერი შემადგენელია.

მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაცია

რა სარგებელს მოიტანს პროექტში მონაწილეობით?

თუ ფლობთ მიწის ნაკვეთს, რომელსაც ამ დრომდე ვერ არეგისტრირებდით დოკუმენტაციის არქონის ან/და ხარვეზიანი დოკუმენტების, სამეზობლო დავის, აზომვითი ნახაზისთვის საჭირო საფასურის არქონის ან სხვა დაბრკოლების გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავად შეასრულებს ყველა იმ პროცედურას, რომელიც საჭიროა ნაკვეთის რეგისტრაციისთვის და თქვენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სიარული და დამატებითი ხარჯის გაწევა აღარ მოგიწევთ.

სად და რობორ უნდა მიმართო საჯარო რეესტრის სუსტემური რეგისტრაციისთვის?

უნდა დაელოდოთ თქვენსავე დასახლებაში სისტემური რეგისტრაციის სამუშაოების დაწყებას და ადგილზე მოსულ საჯარო რეესტრის თანამშრომელს ნაკვეთების საზღვრები სწორად უნდა მიუთითოთ.

რა ეტაპებს მოიცავს მიწის სისტემური რეგისტრაცია?

დოკუმენტების მოძიება; მიწის ნაკვეთის აზომვა; საჯარო გამოცხადება; რეგისტრაცია.

● თქვენ ოფისში მისვლის გარეშე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს ადგილზე წარმოუდგენთ თქვენს არსებულ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს (მათ შორის თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში).

● საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საველე ჯგუფები მიწის ნაკვეთებს უფასოდ აზომავენ და მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების ოქმს ელექტრონულად შეავსებენ.

● საჯარო რეესტრის სააგენტოს სპეციალისტები აკონტროლებენ და ადგილზე ამოწმებენ აზომვითი ნახაზების ხარისხს.

● აზომილი მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია და საკადასტრო რუკები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობაში საჯაროდ გამოქვეყნდება. ასევე ელექტრონულად განთავსდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

● თქვენ შეგიძლიათ მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციას 1 თვის განმავლობაში გაეცნოთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაცემებს არ ეთანხმებით, წარადგინოთ მონაცემების გადამოწმების მოთხოვნის თაობაზე დასაბუთებული განცხადება. მონაცემების გადამოწმების დასაბუთების მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, თქვენი მონაცემებით, მიწის ნაკვეთს განმეორებით აზომავს.

● არსებული დოკუმენტის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის ნაკვეთს არეგისტრირებს და გასცემს ამონაწერს.

რას გულისხმობს სისტემური რეგისტრაციის დაწყება და რობორ აისახება ჩემზე?

სისტემური რეგისტრაცია გულისხმობს, სამი წლის განმავლობაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი), საჯარო რეესტრის მიერ საამზომელო და სარეგისტრაციო საქმიანობის წარმართვას და მოქალაქეებისათვის მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების სრულიად უფასოდ რეგისტრაციას.

ჭსარგებლობ მიწით, მაგრამ არ გამაჩნია დოკუმენტები, მეხება თუ არა მიწის სისტემური რეგისტრაცია?

სისტემური რეგისტრაცია ყველა იმ მიწის ნაკვეთს შეეხება, რომელიც მდებარეობს ქვემოთ ჩამოთვლილ 59 მუნიციპალიტეტში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოიძიებს თქვენს სახელზე არსებულ უფლების დამდგენ დოკუმენტებს, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხს, თქვენივე თანხმობით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობის გარეშე განიხილავს.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია შესაძლებელია, თუ:

● მიწის ნაკვეთი 2007 წლის 20 სექტემბრამდე თვითნებურად გაქვთ დაკავებული და მას სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების ოქმის შედგენის მომენტისათვის ფლობთ:

და

● მიწის ნაკვეთზე განთავსებულია საცხოვრებელი სახლი (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული, მშენებარე ან დანგრეული).

ან

● მიწის ნაკვეთი თქვენს საკუთრებაში ან მართლზომიერ ფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავეა;

ან

● მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) ან საკარმიდამო კატეგორიისაა. ამ შემთხვევაში დასაშვებია მასზე შენობა-ნაგებობა განთავსებული არ იყოს, ან თქვენს საკუთრებაში/მართლზომიერ ფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს არ ემიჯნებოდეს.

● თქვენს მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების (თვითნებურად დაკავებულის წესით უკვე რეგისტრირებული და სარეგისტრაციო ნაკვეთების) ჯამური ფართობი ბარში არ აღემატება 1,25 ჰექტარს, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში - 5 ჰექტარს.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე თქვენი უფლების რეგისტრაციისთვის საჭიროა:

● საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს მიუთითოთ მიწის ნაკვეთის საზღვარი;

● მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი დაადასტუროს იმავე სარეგისტრაციო ბლოკში მდებარე ორი მომიჯნავე ან/და სამი არამომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ/საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირმა.

● მიწის ნაკვეთის დათვალიერების ოქმს თქვენ და თქვენ მიერ მოყვანილმა მოწმეებმა ხელი მოაწერეთ.

სამი წლის განმავლობაში როდის შემოვა საჯარო რეესტრი ჩემი ნაკვეთის რეგისტრაციისთვის?

სამუშაოების თანმიმდევრობა განისაზღვრა რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: napr.gov.ge; ასევე შეგიძლია მიმართოთ იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ოფისებს.

აგრძელებენ თუ არა საქმიანობის აღიარების კომისიები?

● აღიარების კომისიები საქმიანობას აგრძელებენ მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი). ყველა სხვა მუნიციპალიტეტში 2025 წლის 1 იანვრამდე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რობორ გრძელდება სარეგისტრაციო წარმოება თვითნებურად დაკავებულ ისეთ მიწის ნაკვეთებზე, რომლის დოკუმენტები გადაგზავნილია მუნიციპალიტეტის აღიარების კომისიაში და აღიარების კომისიას არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება?

მსგავსი ტიპის ნაკვეთებზე უფლების აღიარების საკითხს განიხილავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

რა ტიპის ნაკვეთები ექვემდებარება რეგისტრაციას სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში?

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში რეგისტრირდება როგორც საკუთრებაში ან სარგებლობაში (მფლობელობაში) არსებული, ასევე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები.

გაიცემა თუ არა მუნიციპალიტეტების მიერ ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთები გაცემული იყო საკარმიდამო ანდა საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად?

მსგავსი შინაარსის ცნობის გაცემის უფლებამოსილება მუნიციპალიტეტებს შეუჩერდათ 2025 წლის 1 იანვრამდე. მსგავსი ტიპის ნაკვეთებზე აღიარების საკითხს განიხილავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში დადგენილი წესით.

ალგენს თუ არა მუნიციპალიტეტი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის უფლების დამდგენ დოკუმენტთან იდენტურობას?

59 მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთის იდენტურობას ადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რობორ შეეძლებ ემიგრაციაში მყოფი პირი მიწის რეგისტრაციას?

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, საველე სამუშაოების დროს (მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვა და საველე ინფორმაციის მოძიება) დაინტერესებული პირის მფლობელობაში არსებული ნაკვეთის საზღვრების მითითება შეუძლია თავად დაინტერესებულ პირს, მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში კი:

● დასახლების ნებისმიერ მცხოვრებს:

● ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.

მომიწევს თუ არა დამატებითი თანხის გადახდა 2022 წლამდე დაწყებული მიწის რეგისტრაციის წარმოებაზე?

2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე (ე.წ. სპორადული წესით) შემოტანილ განცხადებაზე მოქალაქეებს არ მოუწევთ დამატებითი თანხის გადახდა.

მომეხსნება თუ არა სოციალური სტატუსი მიწის რეგისტრაციის შემთხვევაში?

სისტემური ან სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის შემთხვევაში, სოციალური სტატუსი არ მოგეხსნებათ.

დამეკისრება თუ არა დამატებითი გადასახადი მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ?

თუ მიწის ნაკვეთზე უფლება 2004 წლის პირველ მარტამდე შედგენილი უფლების დამდგენი დოკუმენტის საფუძველზე დარეგისტრირდა, მიწის გადასახადი არ დაგეკისრებათ.

რით განსხვავდება მიწის სისტემური რეგისტრაცია სპორადულისგან?

სისტემური რეგისტრაცია

სისტემური რეგისტრაცია უფასოა, ინიციატორია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რეგისტრაცია მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკით, საამზომველო სამუშაოებს აწარმოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სპორადული რეგისტრაცია

სპორადული რეგისტრაციის საფასური განსაზღვრულია კანონმდებლობით, რეგისტრაცია დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე იწყება. საამშენებლო სამუშაოებს დაინტერესებული პირი აწარმოებს.

მიწის სისტემური რეგისტრაციის პარალელურად, საჭიროების შემთხვევაში, თქვენ კვლავაც შეძლებთ ისარგებლოთ მიწის სპორადული რეგისტრაციით.

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ბორჯომი“ №25, 2023 წელი.

ლანას ფორმულა წარმატებაზე

წარმატებული ახალგაზრდა ლანა ჩადუნელი წარმოშობით ბორჯომელია. ამჟამად კრეატიული სააგენტოს, „პოლი მორობსის“ პროექტ მენეჯერია. ეს სამსახური უყვარს და თანამშრომლების გვერდით ძალიან ბედნიერია. ხასიათით მამაცი და გახსნილია, ხშირად იღებს სპონტანურ გადაწყვეტილებებს და არ უშინდება გამოწვევებს.

– ვფიქრობ აღმოჩენების პერიოდი მაქვს. საკუთარ თავთანაც კი ვერასოდეს ვაანონსებ, სად შეიძლება წამიყვანოს სამომავლო გეგმებმა.

ბავშვობა ბორჯომში გავატარე, როდესაც აზრები, დამოკიდებულებები და მსოფლმხედველობა გიყალიბდება, სოციუმი, სამეგობრო წრე და გარემო ძალიან დიდ როლს თამაშობს სამომავლო განვითარებაზე. გარდა ოჯახის წევრებისა, ადამიანი რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემს განვითარებაში, ჩემი ინგლისურის მასწავლებელი მარიამ ფაღავა იყო, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ჩემი აზროვნების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, ბორჯომთან ჩემი ემოციები პირდაპირ უკავშირდება იმ ადამიანებს, რომლებთანაც ამ ქალაქმა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე დამაკავშირა.

სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის გარდა, ლანას პირადი წამოწყებაც აქვს:

მე და ჩემმა ორმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, სტარტაპი შეგვექმნა, რომელიც მშობლებს ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით მისი შვილის ასაკსა და ინტერესზე მორგებულ წიგნს უგენერირებს. ამ ეტაპზე მუშაობას ვაგრძელებთ და ვზრდით პარტნიორების რაოდენობას.

● რას ურჩევდი ახალგაზრდებს?

– გაითვალისწინეთ საყვარელი ადამიანების აზრი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას უსმინეთ მხოლოდ საკუთარ თავს. ჩემი მშობლები ხშირად მსაყვედურობენ, რომ ჯიუტი ვარ, რაც გარკვეულწილად ჩემი უარყოფითი თვისებაც არის, თუმცა, ეს თვისება ბევრი გადაწყვეტილების დაძლევაში დამეხმარა.

მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრების ეტაპზე, რაც შეიძლება მეტი გამოწვევა მიიღოთ და მოერიდოთ კომფორტის ზონაში ყოფნას, გამოიყენეთ განვითარების ყველა შანსი და გამოწვევები ახალ შესაძლებლობებად აქციოთ.

იმისთვის რომ გაიგო, რა გაბედნიერებს, ბევრი რამ უნდა სცადო, შემდგომში სწორედ ეს გვეხმარება საკუთარი თავის აღმოჩენაში, რაც ალბათ, ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მისიაა.

● გულწრფელი პასუხი ბორჯომზე:

– გულწრფელად ვფიქრობ, რომ ჩემს ქალაქს აქვს ყველა პოტენციალი, რომ იყოს კიდევ უფრო მეტად განვითარებული და თავისუფალი, სადაც ადამიანებს, ყოველდღიურობა და დღის წესრიგი საკუთარ ინტერესებსა და ბედნიერებაზე ექნებათ მორგებული, ამის შესაბამისად კიდევ მეტად იზრუნებ ერთმანეთის ბედნიერებაზეც. განვითარება ძალიან რთულია მაშინ, როდესაც პრიორიტეტებს სწორად არ განსაზღვრავ. საკუთარ და საერთო კეთილდღეობაზე ერთდროულად ფიქრი კი მსავსი ყოფის მნიშვნელოვანი ეტაპია.

● დაუვიწყარი ემოციები:

– ემოცია... ბავშვობაში სპორტით ვიყავი დაკავებული, 2011 წელს კი პირველი შეჯიბრი მქონდა, სადაც საქართველოს ჩემპიონი გავხდი სიგრძეზე ხტომაში. როდესაც მაჯილდოებდნენ პირველად ვიგრძენი, რომ მიზნისთვის დახარჯული უამრავი დრო, ენერგია და ძალისხმევა არასოდეს არ იკარგება და ეს მუხტი დღემდე მომყვება.

● ლანა ჩვეულებრივი მკითხველი არ არის:

– ნებისმიერი მკითხველის ურთიერთობა წიგნთან ძალიან ინდივიდუალურია, შეიძლება ითქვას, ინტიმურიც. ამ კავშირის დამყარება ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბავშვობიდან იწყება, მაშინ როდესაც პირველად ვიწყებთ წიგნთან ურთიერთობას და ნელ-ნელა უკეთესობისკენ ვიცვლებით. სწორედ ამ ინდივიდუალური კავშირის ამბავს მინდა შევეხო, რომელსაც საკუთარი დამოკიდებულების განხილვით შევეცდები.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ წიგნებს ტყუილად ვკითხულობდი. გასაგებიცაა, რომ თუ არც პერსონაჟი გახსოვს, არც წიგნის შინაარსი და არც დასასრული, მაშინ, რა აზრი აქვს ასეთ კითხვას. ასე ვფიქრობდი, სანამ შემთხვევით არ შეგამჩნია, რომ ჩვევად მქონდა ქცეული წაკითხული წიგნებიდან გაუცნობიერებულად ღირებულებების აღება. ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც საკუთარი თავის შესახებ აღმომიჩენია.

ამ თემაზე როდესაც ვფიქრობ, ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეული წიგნი – „თამაში ჭვავის ყანაში“ მახსენდება, რომელშიც წიგნის მთავარ გმირთან, ჰოლდენ კოლფილდთან ისედაც უამრავი მსგავსების გარდა, კიდევ ერთი საერთო აღმოვაჩინე, როდესაც ის ამბობს: **„საკმაოდ გაუნათლებელი ვარ, მაგრამ ძალიან ბევრს ვკითხულობ“.** ამ სიტყვებმა აღმომაჩენინა, რომ ამ ამბავში მარტო არ ვარ. მას შემდეგ მუდმივად ახალი აღმოჩენის ძიებაში ვარ. ჩემი ეჭვი, რომ წიგნებს ტყუილად ვკითხულობდი, გამიქრა და ძიებიდ დასკვნამდე, რომ რასაც ვკითხულობ, არ მავიწყდება, არამედ ძალიან ღრმად ილექება ჩემს ქვეცნობიერში და ამავდროულად არის გაცილებით მეტი, ვიდრე მხოლოდ შინაარსი. როდის და რა ფორმით იჩენს ეს ყოველივე თავს, ცალკე საკითხია.

● ლანას პოზიცია ქალთა საკითხზე:

– ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. ეკონომიკური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია თვითშეფასებისა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გქონდეს, ეს ფორმულა ყველა სქესზე ანალოგიურია. უბრალოდ უნდა გჯეროდეს, შენი შესაძლებლობების და ანგარიშვალდებულებაც მხოლოდ საკუთარ თავთან გქონდეს, რომ ყოველდღე შენი თავის უკეთესი ვერსია ხარ და როცა შენს შესაძლებლობებში დარწმუნებული ხარ, ყველა დანარჩენი პროცესი ბუნებრივად ხდება.

ია ანთაძე

„ბორჯომის“ კრიტიკის პასუხად

აღშფოთება გამოიწვია გაზეთ „ბორჯომის“ 22 ივნისის ნომერში დაბეჭდილმა გამოკითხვამ სათაურით „კიდევ მეტი კულტურა და სისუფთავეა საჭირო“. ერთ-ერთი დამსვენებლის დაფიქსირებული აზრი ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის შესახებ, იმდენად გამაოგნებელია, რომ გულგრილად ნამდვილად ვერ მივიღებდით უსაფუძვლო კრიტიკას.

პარკის შრომითი კოლექტივი და განსაკუთრებით ისინი, ვინც სისუფთავეზეა პასუხისმგებელი, ყოველ ღონეს ხმარობენ, დღის ნებისმერ მონაკვეთში, დასუფთავებული და მოვლილი იყოს ტერიტორია, ურნები კი, დაცლილი.

რაც შეეხება ცხენებს – პარკის ტერიტორიაზე დაუშვებელია, მათი არსებობა და რაიმე სახის ტრანსპორტი მოძრაობა იმ მომენტში, როცა დამსვენებელი პარკში სეირნობს, ან მითუმეტეს როგორც ავტორი აღნიშნავს, „ცხენები პირდაპირ პარკში დადიან“, ცხენებით გადაადილება ხომ აბსურდია საერთოდ.

პარკში არ არსებობს ცხენებთან დაკავშირებით არანაირი იჯარა და არც სხვა სახის მომსახურეობა, რაშიც შეიძლება ცხენების მონაწილეობა იყოს საჭირო! ასევე აბსურდია მათი ფეკალიებით დასვრილი პარკის ტერიტორიაც!

მეტიც, ცილისმწამებლურია გამონათქვამები „პარკი ცხენების თავლადაა ქცეული“ და მსგავსი ფრაზები! უბრალოდ ისიც კი ვიფიქრე, გაოგენებულმა იქნებ აღნიშნული პიროვნება სულაც სხვაგან იყო სტუმრად და ვერ გაურკვევია ის, რომ პარკის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა.

და ბოლოს, მიუღებელია, რატომ უნდა ქონდეს ტურისტს თუ დამსვენებელს ცუდი შეხედულება პარკზე. ამიტომ თავი მოვალედ ჩავთვალეთ, გვეცნობებინა საჯაროდ, რომ მსგავსი შემთხვევებისგან პარკი აბსოლიტურად დაცულია!

მარიამ ზაქაშვილი,
ბორჯომის ცენტრალური (ისტორიულ) პარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

რედაქციის მინაწერი: გაზეთში გამოკითხვის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ აღნიშნული ფაქტი, და რამდენიმე ცხენი მართლაც შევნიშნეთ არა ისტორიულ პარკში, არამედ კოსტავას სახელობის ბაღში. ფაქტი არასასიამოვნოა, მით უფრო ახლა, როცა ტურისტული სეზონი ძალაშია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ისტორიულ პარკსა და კოსტავას სახელობს ბაღსაც ერთი ხელმძღვანელობა ყავს და შესაბამისად ორივე ობიექტის მოვლა-პატრონობაზე ერთნაირი პასუხისმგებლობა ეკისრება.

დამსახურებულ პედაგოგს ღირსეული ჯილდო

საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტის და ტურიზმის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა ამავე სკოლის პედაგოგი, ქალბატონი მარინე დათუნიშვილი ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში, მოსწავლეახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

როგორც 50 წლიანი მუშაობის სტაჟის მქონე პედაგოგმა აღნიშნა, ჯილდო მოულოდნელი და რაც მთავარია, სასიამოვნო აღმოჩნდა. მისთვის ეს ერთგვარი ღვაწლის დაფასება გახლავთ. ყველაზე დიდი ბედნიერება და სიმაყის განცდაა, როდესაც ამდენი წლის შემდეგ მისი ამაგი არ ავიწყდებათ, ყოფილი მოსწავლეები უკავშირდებიან, კითხულობენ. - ხანდახან მიკვირს, რომ ამდენი წლის შემდეგ, როგორ შეიძლება ვახსოვდე მოსწავლეებსო, ამბობს ქალბატონი მარინე.

ქალბატონ მარინეს, როგორც ყველა მოსწავლეთათვის საყვარელ პედაგოგს, აღნიშნული ჯილდო მოსწავლეთა მშობლებმა მიულოცეს, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც ვთავაზობთ:

– თამარ დოიჯაშვილი, თავისი საქმის უნაკლო სპეციალისტს, ძალიან თბილ, მოსიყვარულე და ერთგულ მასწავლებელს ქალბატონ მარინე დათუნიშვილს ვულოცავ აღნიშნულ ჯილდოს. კიდევ უამრავი წარმატება ჰქონებოდეს! მართლაც რომ ღირსეულად იმსახურებთ ერთგული შრომის დაფასებას.

თეკო კოზანაშვილი – საოცრად ყურადღებიან, მშობლიური სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ქალბატონს, ჩვენთვის და ყველა მოსწავლისათვის უსაყვარლეს პედაგოგს ვულოცავთ მართლაც დამსახურებულ ჯილდოს. ვუსურვებთ წელთა სიმრავლეს და ბევრ წარმატებულ მოსწავლეს. კიდევ მრავალი წელი ეღვაწოს!

ანა ჯღუნიაშვილი – ჩვენს უთბილეს, უსაყვარლეს და უძვირფასეს მარინა მასწავლებელს ვულოცავთ დამსახურებულ ჯილდოს, კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებთ და მომავალშიც აღეზარდოს მრავალი წარმატებული ადამიანი.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაც უერთდება მილოცვას. კიდევ მრავალი წელი ეღვაწოს საკუთარი საქმის უბადლო მცოდნე, ღირსეულ პიროვნებას.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

გულები ფერებით ავსო

ის, რაც ბავშვობას უკავშირდება, თანდათან ვრწმუნდები, რომ ყველაზე წმინდაა. სწორედ, რომ დიდი ემოციები გამოიწვია გასულ შენობის კედლებს, როდესაც იღებებოდა და კედლებზე თანდათან ჩნდებოდა ლამაზი ფერად-ფერადი ნახატები.

აღფრთოვანება გამოიწვია

კვირას, როდესაც ახალდაბას ვსტუმრობდი და ბავშვობის მოგონებებთან ყველაზე ახლობელმა საბავშვო ბაღმა გული ფერებით აავსო, საოცრად მედიდურად და თითქოს ამაყი გაჰყურებდა ქუჩებს, ფერთა საოცარი შეხამებით უნებურად გავიფიქრე - ცისაფერს. სრულიად შეცვლილა, ახლად რეაბილიტირებული ახლდაბის საბავშვო ბაღი. ფერები, ფერებით გავსებს გამვლელს, თვალს ვერ წყვეტ და გინდა, რომ უყურო. ასეთ ესთეტიკურ გარემოში ხომ ბევრად მშვენიერი, ლაღი და მიზანსწრაფული პატარები აღიზრდებიან, რომელთაც ეცოდინებათ მშვენიერების ფასი.

- საბავშვო ბაღის გარე ფასადის რეაბილიტაცია ბაღის თანამშრომლებისთვისა და აღსაზრდელებისთვის ძალიან სასიხარულო ფაქტია. აღსაზრდელები გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდნენ მშობლებშიც და თითოეულ ახალდაბელში. ისინი ემოციებს ვერ მალავენ, გვერდით რომ ჩაუვლიან შენობას.

ამ ბედნიერების ჩუქებისთვის მადლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტს, მათ არა მარტო პატარები გაახარეს, დღეს უფროსებიც სიხარულით ეგებებიან ბაღში მოსვლის დღეებს შვილებთან ერთად, - გვითხრა ახალდაბის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელმა **მარინა ჩადუნელმა.**

რამდენიმე თვიანმა მუშაობის შედეგმა მართლაც, რომ თავისი სათქმელი თქვა. გარემოს სულ სხვა ემოცია და შთაბეჭდილებები შესძინა.

დღეს ბაღში 60 აღსაზრდელი ირიცხება, აქედან 21 აღსაზრდელს აღმზრდელებმა სკოლისაკენ კეთილი სურვილებით გზა დაულოცეს, ახალ აღსაზრდელებს კი სექტემბერში მოუთმენლად დაელოდებიან.

ია ანთაძე

ვულოცავთ!

ჩემს უმცროს შვილიშვილს თეკლა მელქაძეს 2 ივლისს დაბადებიდან 14 წელი შეუსრულდა. უკვე მეცხრეკლასელი, მოკრძალებული, მშვიდი და ბეჯითი მოსწავლეა. ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს.

დაე, სკოლაში გაიფურჩქნოს მისი ნიჭიერება. რა სასიამოვნოა ეს კეთილი სურვილი, ასე ჭეშმარიტად მუდამ რომ ახდება ხოლმე.

მისდამი დიდი სიყვარულის გრძნობით გამოვხატავ შესანიშნავ იუბილეს ლექსით:

ბედნიერ თვეს ველოდები
სკოლაში ბეჯითი სწავლით,
გეტყობა რომ ხარ ნიჭიერი,
სუყველა მადლიერი გყავს
დიდ-პატარა-ღვთისნიერი.
რეალობას ვერვინ შეცვლის,
ყველა შენ გამკობს ქებითა,
გამჭრიახი გონებით და
ბრწყინვალე აზროვნებითა.
კლასიდან კლასში გადასვლით
აითვისე ყველაფერი,
თანატოლებს ტოლს არ უდებ,
ვერ გაბრკოლებს ვერაფერი.

გზედავენ მიზანდასახულს,
გამორჩეულს ცოდნითა,
წარმატებას მუდამ აღწევ
მონდომებული სწავლითა.
შესანიშნავი მიღწევით
ოცნება აგისრულდება,
ყოველთვის მიზანს მიაღწევ,
ეჭვი არავის უჩნდება.
დაბადების დღეს გილოცავ,
ხანგრძლივ სიცოცხლეს გულითა,
ასახელე სამშობლო
წარმატებული სწავლით.

სერგო მელიქიძე.

გურამ ქუნცელს 75 წელი შეუსრულდა, ვულოცავთ!



დაბადების დღეს გილოცავ
მთელი გულით სულითა,
სითბო, სიტკბო, სიხარულით
დაძმური სიყვარულითა.

იცოცხლე და იდღეგრძელე
ძირძველო მესხეთისა,
ბრძნული აზრების მეუფევ,
სიამაყევ ერისა.

მიყვარს შენი გულთბილობა,
მიყვარს შენი ძეობა,
არასოდეს მოგკლებოდეს
არც ძალა არც ძხნეობა.

ყოველთვის ასე მენახე
გულკეთილი, გულთბილი,
ბრძნულ აზრებით მოუბარი,
სულ კეთილი, სულ ტკბილი.

გვიყვარხარ და გვეყვარები
გულთბილო და გულწრფელო,
ჩვენო სახალხო ძგოსანო,
ჩვენო გურამ ქუნცელო.

შენდამი ულრმესი პატივისმცემელი, შენი უბადლო ნიჭის თაყვანისმცემელი ძეთევან ახალციხელი

მოეწყო ყვავილების გამოფენა-გაყიდვა

27 ივნისს ბორჯომში, რუსთაველის მოედანზე ყვავილების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. გამოფენა-გაყიდვა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის რებეკასა და რავნიტის საკუთარ მეურნეობაში მოყვანილ და გამოყვანილ ყვავილებს, სხვადასხვა დეკორატიული და ჯუჯა ჯიშის ხეებს აერთიანებდა. რებეკა საქართველოს მოქალაქე გახლავთ, ხოლო რავნიტი ეროვნებით ინდოელია, თუმცა მრავალი წელია საქართველოში ცხოვრობს უკვე შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას და მეუღლეს საკუთარი მეურნეობის მოვლა-პატრონობაში აქტიურად ეხმარება, რომელიც მათ წნორში საკუთარ მამისეულ კარმიდამოში აქვთ გაშენებული. მათი მეურნეობა აერთიანებს, როგორც მარადმწვანე, ასევე სეზონურ მცენარეებსა და სხვადასხვა ხილისა თუ ბოსტნეულის ნარგავებსა და ჩითილებს. ისინი საკუთარ პროდუქციას მთელი ქვეყნის მასშტაბით ყიდიან. მათ სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი აქვთ ,,rebeka & Ravnit~, სადაც აქტიურად აქვეყნებენ ფოტო და ვიდეო მასალას საკუთარი მეურნეობისა და ოჯახის შესახებ. რებეკა ფოტოგრაფიითაცაა გატაცებული და პირად გვერდზე უამრავ საინტერესო ფოტოს სთავაზობს გვერდის გამომწერებს. როგორც რებეკა ამბობს, მათი მთავარი მიზანი იმ საქმის კეთებით, რასაც ისინი აკეთებენ და რაც მიწაზე მუშაობას და სოფელში შრომას გულისხმობს ერთგვარი მოტივაციაა, რათა ხელი შეუწყონ ფიზიკურად შრომის პოპულარიზაციას, სოფელში ცხოვრებასა და თუნდაც, ინტერნაციონალური ოჯახის პოპულარიზაციას, საკუთარი შეხედულებების გაზიარებას ამა თუ იმ საკითხზე. ამბობს, რომ ეს ერთგვარი სტიმულია, რათა ადამიანებს გაუჩნდეთ სოფლად ცხოვრების სურვილი.

რებეკა და რავნიტი საკუთარ მცენარეებს გარდა იმისა, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით ყიდიან, ისინი თვითონაც სტუმრობენ სხვადასხვა ქალაქებს, სადაც ადგილზე მიაქვთ საკუთარი პროდუქცია. ამდენწლიანი მოღვაწეობის მანძილზე უამრავ ქალაქში ჩაუტანიათ მათ საკუთარი მცენარეები, თუმცა 27 ივნისს ბორჯომში პირველად იმყოფებოდნენ. ამ დღეს ბორჯომის კლიმატისათვის მორგებული და ადვილად მოსავლელი მცენარეები ჩამოიტანეს. მაგალითად როგორიცაა: დეკორატიული ოვალური ტუია, ოქროსწვიმა ტუია, ჯუჯა ტუია, სპირეა, ღვია, მისკანტუსი, პამპასი, კოწახური, ჯუჯა ქლიავი, თეთრი და ვარდისფერი თოვლის გუნდა, ოქროსფერი ჯუჯა ღვია, სხვადასხვა ფერის ვარდები და ა.შ. გამოფენა- გაყიდვის შესახებ პირადად მე, სოციალური ქსელის მეშვეობით შევიტყვე. უამრავი დამთვალიერებელი და მყიდველი ესტუმრა ახალგაზრდა მებაღეებს და საკუთარ ოფისსა თუ ეზოებს დამატებითი მცენარეები შემატეს. რებეკა და რავნიტი მომხმარებლებს ღიმილიანი სახით აძლევდნენ რეკომანდაციებს თითოეული მცენარის მოვლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მცენარეების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახლდათ. მათი ფასი 5-იდან 50 ლარამდე მერყეობდა. როგორც მათ დაანონსეს, შემდეგი გაჩერება ქალაქი გორია. ხოლო ახალგაზრდა მებაღეები აპირებენ რომ საკუთარი მცენარეეები ზაფხულის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველგან ჩაიტანონ.

ნანო მელიქიძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

წმინდა მოწამე შალვა ახალციხელი (თორელი). (1227)

30 ივნისს საქართველოს წმინდა მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ახალციხელ რაინდს და მეომარს შალვას. შალვა თამარ მეფის მხედრობაში იბრძოდა.

–ცნობილია, რომ დიდმა თამარ მეფემ შალვა ახალციხელი მთავრად დანიშნა. შამქორის ომში გამარჯვებისას მან ხალიფას დროშა წამოიღო ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა და ხახულის ღვთისმშობელს შესწირა სხვა უამრავ ნადავლთან ერთად. ასევე, თამარ მეფის ბრძანებით ბასიანის ბრძოლაში (1204წ.) ქართველთა ძლევამოსილ მხედრობას მანდატურთუხუცესი შალვა წინამძღოლობდა ძმასთან ივანე ახალციხელთან ერთად.

წმინდა თამარ მეფის ასულის, რუსუდანის მეფობის დროს ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში უთვალავ ლაშქართან ერთად. რუსუდანმა ქუდზე კაცი იხმო და საომრად შეკრებილ ქართველებს მთავრად მოხუცებული იოანე ათაბაგი დაუდგინა.

იოანე ათაბაგმა სიმამაცითა და სიმხნევით გამორჩეულ ორ ძმას - შალვა და ივანე ახალციხელებს დაავალა, თვითონ კი ძირითად ნაწილთან ერთად დარჩა გადამწყვეტი იერიშის მისატანად... შალვა ახალციხელი ტყვედ ჩავარდა. ჯალალედინმა დიდად გაიხარა, შალვას სჯულის გამოცვლა შესთავაზა, სამაგიეროდ სამოძვრით ავსებას და „ბევრ რამეს“ შეჰპირდა, მაგრამ მან არ უარყო ჭეშმარტი ღმერთი. ქართული სიმღერა „შავლეგო“ განადიდებს წმინდანის ვაჟკაცობას და ღვაწლს.

გიული ლიპარტია.

საოცარი სალამო ბედნა

30 ივნისს, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ანსამბლ „მერმისის“ საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

ღონისძიების დაწყებამდე ანსამბლი ილია წინასწარმეტყველის ტაძრის წინამძღვარმა მამა იოანე ხეცურიანმა დალოცა. მამა იოანემ დამსწრე საზოგადოებასა და ანსამბლის ხემძღვანელობას მაღალყოვლადუსამღვდელოესის, ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ დანიელის ლოცვა-კურთხევა გადასცა და აღნიშნა, რომ „თითოეული ადამიანი, ვინც ქართულ წესს, ადათს, ტრადიციას, ცეკვას, სიმღერას ემსახურება, ის უკვე ქვეყნის სამსახურშია და ეს ბავშვები ყველა ქვეყნის სამსახურში არიან“. მამამ დალოცა თითოეული იქ მყოფი ადამიანი, ერთობით, სიყვარულით, სიხარულით აღსავსე ცხოვრება უსურვა.

საღამო ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. ორ განყოფილებად წარმოდგენილი საკონცერტო პროგრამა სულ 13 ცეკვას აერთიანებდა. წარმოდგენილ ცეკვებს შორის ნახევარი ცეკვებისა გახლდათ დებიუტი. კონცერტი გასხნა ცეკვა „ფარცამ“, რომელსაც მოჰყვა ქართული სამაია. კონცერტზე წარმოდგენილი გახლდათ მუხამბაზის განახლებული ვერსია, ასევე აჭარული, ამ დღისთვის შესრულდა ასევე სპეციალურად შექმნილი კომპოზიცია სიმღერაზე „შენ ალაზანო“. მეორე განყოფილება სვანურმა ივანანამ გახსნა, შესრულდა გარე კახური, ყაზბეგური. საღამო დასრულდა საოცარი მთიულურით. კონცერტზე დამსწრე საზოგადოებისა და ანსამბლის ხელმძღვანელის მოულოდნელად სცენაზე საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის საკონტროლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბატონი **გოჩა გრძელიშვილი** ავიდა, რომელმაც ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციის საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის გადაწყვეტილებით, ქართული ხალხური ცეკვების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული ნვლილისათვის **ნინო ყეინიშვილს** მინიჭებული დამსახურებულ ქორეოგრაფ-პედაგოგის ჯილდო გადასცა.

თითოეულ ნომერს მაყურებელი უდიდესი ოვაციებითა და შეძახილებით ხვდებოდა. არ წყდებოდა ტაში. სიამაყისა და ცრემლების გარეშე ნამდვილად ვერ შეძლებდით გეცქირათ თითოეული ნომრისთვის. ანსამბლმა თავისი სათქმელი ნამდვილად თქვა. საღამო მართლაც შედგა. ეს გახლდათ ნამდვილი პროფესიონალიზმის, სასწაული სილამაზისა და უდიდესი შრომის სინთეზი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, სასულიერო პირები. გვინდა დამსახურებული ჯილდო მივულოცოთ ქალბატონ ნინოს. კიდევ მრავალი წელი ეღვაწოს ქვეყნის სამსახურში.

ნატო მელიქიძე

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი - ბაკურიანში

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი 28 ივნისს ბაკურიანს ესტუმრა. „დიდველის“ კინოდარბაზში მაყურებლის წინაშე წარსდგა რეჟისორ **კახა გოგიძის** მიერ დადგმული სპექტაკლი ვოდევილები (იჭვიანი, ოინბაზი) სპექტაკლში მონაწილეობენ: **მანანა ბერიძე, ჯუნა თუმანიშვილი, კონსტანტინე კახიშვილი, მალხაზ შაყულაშვილი.** კულტურული ღონისძიებების ინტენსიურმა დანერგვა-აღდგენამ ბაკურიანში დადებითი რეზონანსი გამოიწვია როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე დამსვენებელთა შორის. მესხეთის თეატრი უკვე რამდენიმეჯერ ეწვია ბაკურიანს ბოლო ერთი წლის განმავლობაში და ყოველ ჯერზე მას აღფრთოვანებული და მადლიერი მაყურებელი დახვდა. დიდი მოწონება დაიმსახურეს მათ დამსვენებელთა შორისაც, რომლებიც იმედოვნებენ, რომ კიდევ შეძლებენ სპექტაკლების ხილვას ბაკურიანში.

აბიტურიენტების საყურადღებოდ!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ტრანსპორტის“ სამსახურის ინიციატივით, ბორჯომელ აბიტურიენტებს საგამოცდო დღეების განმავლობაში უფასო ტრანსპორტი მოემსახურება. (პირველი სესია)

7, 10, 11, 12, 14, 17, 18, 25 და 26 იანვარს, მუნიციპალური ავტობუსები ახალციხის მიმართულებით, ქალაქის ცენტრალური მოედნიდან დილის 07:00 საათზე გავალ.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი აბიტურიენტებსა და მათ გულშემატკივრებს გამოცდის დამთავრებამდე დაელოდება და მათ ბორჯომში დაბრუნებას უზრუნველყოფს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ყველა აბიტურიენტს წარმატებას უსურვებს!